კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა Diplomacy and International Politics
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	**დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი** **MA in Diplomacy and International Politics**
ფაკულტეტის დასახელება	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ ხელმძღვანელები/კოორდინატორი	დავით გეგეჭკორი - პროფესორი
პროგრამის ხანგრძლივობა/ მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	პროგრამის ხანგრძლივობა - 2 სასწავლო წელი, 4 სემესტრი. კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი
სწავლების ენა	ქართული;
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები	აწსუ აკადემიური საბჭოს №46(20/21) 21 ივლისი 2021 დადგენილება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა სამაგისტრო პროგრამის დამტკიცების შესახებ.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ სტუდენტის დაშვების წინაპირობაა:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
- შიდასაუნივერსიტო გამოცდების წარმატებით ჩაბარება.

შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა შედგება ორი კომპონენტისაგან ერთი უცხო ენის გამოცდა, რომელიც ადგენს კანდიდატის ენის ფლობას B2 დონეზე და მეორე გამოცდა სპეციალობაში:

- გამოცდა სპეციალობაში, რომელიც ითვალისწინებს აპლიკანტისთვის საერთაშორისო ურთიერთობის და პოლიტიკის შესახებ ფართო ცოდნის ფლობის დონის შემოწმებას (გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ბილეთი მოიცავს ორ თეორიულ საკითხს და დახურულ ტესტებს. გამოცდის ჩატარების და შეფასების კრიტერიუმები რეგულირდება აწსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესით);

გარდა აღნიშნულისა, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება No10/ნ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ [http://eqe.ge/res/docs/10%E1%83%9C_16.03.2018.pdf] და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №12 (17/18)).

პროგრამის მიზნები

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს

- მისცეს და განუვითაროს დიპლომატიის, საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის შესახებ თეორიული, სისტემური და სიღრმისეული ცოდნა,
- შეძინოს საერთაშორისო პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული კონცეფციების, თეორიებისა და ანალიზის მოდელების საფუძვლიანი ცოდნა და კრიტიკული აზროვნების უნარი.
- შეეძლოს შესაბამის პროფესიულ თანამდებობებზე სამართლიანობის, აქტიური მოქალაქეობის, დემოკრატიული ფასეულობებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაყრდნობით ლიდერული

ფუნქციების შესრულება	
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	
მაგისტრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს სადოქტორო პროგრამებზე საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, განსაკუთრებით ისეთ პროგრამებზე, რომლებიც უკავშირდება საერთაშორისო ურთიერთობებს, პოლიტიკის მეცნიერებებს, ევროპისმცოდნეობას, უსაფრთხოების კვლევებს და სხვა მომიჯნავე სპეციალობებს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სფეროდან.	
სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	კურსდამთავრებული • აღწერს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსურ ხასიათს და მათი გავლენის შესაძლებლობებს სახელმწიფოთა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ინტერესებზე; • აყალიბებს საერთაშორისო პოლიტიკასა და სისტემაში აქტორებს შორის არსებული ურთიერთობების მოტივებს, მიზნებს და ურთიერთქმედების შესაძლო შედეგთა ფორმებს.
უნარები	• აანალიზებს საერთაშორისო ვითარებას ეროვნულ ინტერესებთან გათვასლისწინებით და აწარმოებს ეფექტურ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს; • ახდენს სწავლის პროცესში მიღებული ინფორმაციის შესაბამისობას, დიპლომატიურ პრაქტიკაში ან საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილ გარემოებებთან, კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის. • შეუძლია კვლევის დაგეგმვა და განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; • შეუძლია გააცნობიეროს საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემები ეროვნული, ან კონკრეტული ინტერესის კუთხით, შეიმუშაოს ამ ინტერესის დამცველი პოზიცია, გამართოს დისკუსია ამ პოზიციის დაცვის მიზნით.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	• ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში აღიარებული პასუხისმგებლობებსა და ეთიკურ ნორმებს.
სწავლების მეთოდები	
დისკუსია-დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევების შესწავლა(Case study), გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, ინდუქციური და დედუქციური მეთოდები, ანალიზის და სინთეზის მეთოდები, წერითი მუშაობის და პრაქტიკული, ახსნა-განმარტებითი, ქმედებაზე ორიენტირებული და ელექტრონული სწავლების დასწრებული მეთოდი.	
პროგრამის სტრუქტურა	
კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი, მათ შორის: I. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები - 105 კრედიტი (მათ შორის: პროფესიული პრაქტიკა - 5 კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი); II. ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი. **სასწავლო გეგმა იხ დანართი 1.**	
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები/	
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა **აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემა იყოფა შემდეგ კომპონენტებად:** საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს: ➢ სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში *(მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს)* -	

არა უმეტეს 30 ქულა;

- შუალედური გამოცდა- არა ნაკლებ 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 24 ქულას.

სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი შეფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი შეფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული იქნება შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) (**B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) (**C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ).
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის სტუდენტის საბოლოო შეფასება, რომელშიც არ მოიაზრება ძირითად დასკვნით გამოცდაზე მიღებული უარყოფითი ქულა.
თუ სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო 0-დან 50 ქულამდე, საბოლოო საგამოცდო უწყისში სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) -0 ქულა.
დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 17 ქულით.
სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შენიშვნა:

1. შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით;
2. სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია სასწავლო კურსების სილაბუსით;
3. პროგრამის თითოეული შედეგის სამიზნე ნიშნულად განისაზღვრა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 60 %-ის მიერ სხვადასხვა აქტივობებით გათვალისიწნებული მაქსიმალური ქულის 75%-ის მიღწევა. სამიზნე ნიშნულებთან დადარება მოხდება 2 წლიან დინამიკაზე მონიტორინგის შედეგად;
4. რეფერატების და პროექტების შეფასებისას დაწესებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მაქსიმალური მისაღები ქულის მინიმუმ 60%, ხოლო პროფესიული პრაქტიკის შემთხვევაში - 70%;
5. პროგრამის სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გაზომვა მოხდება აკადემიურ წელიწადში ერთხელ,

აღნიშნული სასწავლო კურსის ხელახლა განხორციელებამდე არაუგვიანეს 1 თვისა და დადარდება პროცენტულ მაჩვენებლებს;

6. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა მოხდება პროგრამაზე თანდართული კურიკულუმის რუკის მიხედვით იმ სემესტრის ბოლოს, სადაც დადგა აღნიშნული სწავლის შედეგი;

დასაქმების სფეროები

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი შესაძლებელია დასაქმდეს ხელისუფლების აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე არასამთავრობო სექტორში, სხვადასხვა პროფილის მქონე კერძო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებში, სასწავლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით იმ თანამდებობებზე, რომლებიც დაკავშირებულია საგარეო და საერთაშორისო კავშირების წარმართვასთან.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსები. სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისათვის შეზღუდვის გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზები; იმიტირებული სასამართლო დარბაზი; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და სხვ.

სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები:

- აწსუ-ს I, II და III სასწავლო კორპუსის ჯგუფური და ინდივიდუალური სამუშაო ოთახები;
- აწსუ-ს საბიბლიოთეკო XXII კორპუსი;
- აწსუ-ს I და XXII კორპუსების სამკითხველო დარბაზები;
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრების აუდიტორიები.
  უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელმისაწვლომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისთვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული სამეცნიერო ბაზებით: https://library.atsu.edu.ge/scientific-bases.html

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ:

პროგრამას ემსახურება: 1 - პროფესორი; 7 - ასოცირებული პროფესორი; 2 - მოწვეული პროფესორი; 3 - ასისტენტ პროფესორი.

სასწავლო გეგმა

პროგრამის დასახელება: დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი

№	კურსის დასახელება	კრედიტი	წინაპირობა	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში						სემესტრი			
				სულ	საკონტაქტო				დამ	I	II	III	IV
					ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	გამოცდები	სულ					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები												
1.1	სამეცნიერო წერა	5	-	125	15	30	3	48	77	5			
1.2	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში	5	-	125	15	30	3	48	77	5			
1.3	საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები	4	-	100	15	30	3	48	52	4			
1.4	საერთაშორისო მოლაპრაკებები და მოლაპარაკებების ხელოვნება	5	-	125	15	30	3	48	77	5			
1.5	საგარეო პოლიტიკის ანალიზი	5	-	125	15	30	3	48	77	5			
1.6	საერთაშორისო ურთიერთობათა იდეოლოგიები და თანამედროვე მსოფლიო	6	-	150	15	30	3	48	102		6		
1.7	პოლიტიკური ინსტიტუტები და პოლიტიკური პროცესი	4	-	100	15	30	3	48	52		4		
1.8	თანამედროვე გეოპოლიტიკური თეორიები	5	-	125	15	30	3	48	77		5		
1.9	რეგიონული უსაფრთხოება და	5	-	125	15	30	3	48	77		5		

	კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში												
1.10	პოლიტიკური ლიდერის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში	6	-	150	15	30	3	48	102		6		
1.11	დიპლომატიური პროტოკოლი **Diplomatic Protocol**	5	1.4	125	15	30	3	48	77			5	
1.12	პოლიტიკური კონფლიქტების მართვა	5	1.9	125	15	30	3	48	77			5	
1.13	ქართული დიპლომატია და მისი ანალიზი	6	1.5	150	15	30	3	48	100			6	
1.14	საერთაშორისო უსაფრთხოება და ტერორიზმი **International Security and Terrorism**	5	-	125	15	30	3	48	77			5	
1.15	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი	4	-	100	15	30	3	48	52			4	
	სულ	75		1875	225	450	45	720	1153	24	26	25	
2	**ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები**												
2.1	უცხო ენა 1	5	-	125		60	3	63	62				
2.2	ევროინტეგრაცია: პრობლემები და პერსპექტივები	5	-	125	15	30	3	48	77	5			
2.3	პოლიტიკური იმიჯი და საარჩევნო მარკეტინგი	5	-	125	15	30	3	48	77				
2.4	უცხო ენა 2	5	2.1	125		60	3	63	62				
2.5	პოლიტიკური ელიტების შედარებითი ანალიზი	5	-	125	15	30	3	48	77		5		
2.6	საერთაშორისო ორგანიზაციები და ინტეგრაციული პროცესები	5	-	125	15	30	3	48	77				
2.7	უცხო ენა 3	5	2.4	125		60	3	63	62				
2.8	სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა	5	-	125	15	30	3	48	77			5	
2.9	პოსტსაბჭოთა პოლიტიკა	5	-	125	15	30	3	48	77				
	სულ	15		375	45/90	90	9	144/189	231/186	5	5	5	
3	**სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი**												
3.1	პროფესიული პრაქტიკა	10	ყველა სასწავლო კურსი	250	**180**		**3**	**183**	**67**				**10**
	სულ	10		250	**180**		**3**	**183**	**67**				**10**

4	**სავალდებულო სამეცნიერო კვლევის კომპონენტი**												
4.1	სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა	20	ყველა სასწავლო კურსი	500	15		0,5	15,5	484,5				20
სულ		20		500	15		0,5	15,5	484,5				20
ჯამი		120		3000	465/ 510	540	57,5	1062,5/ 1077,5	1935,5/ 1892,5	29	31	30	30